ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №330556

ნომერი: AR173622

თარიღი : 15.08.2012

გაცემის თარიღი : 10.09.2012

გაცნობის თარიღი : 11.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 83 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 15 აგვისტოს #არ173622 განცხადებით მომართა მოქ. დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 29 ივნისის #01/1595 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ტექნიკურ –ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი სხვენის ფართის მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2011 წლის 29 ივნისის #01/1595 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, სახელმწიფო ექსპერტიზის შენობის მიმდებარედ (ნაკვეთი #004/005), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (I; II; III; IV; V და VI) ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/1682–1). სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2011 წლის 29 ივნისის #01/1595 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი იყო სხვენის ფართი, რომელიც გამორჩენილი იქნა დამკვეთის მიერ შედგენილ განმარტებით ბარათში. აღნიშნული ცდომილება შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. საპროექტო დოკუმენტაცის გადამოწმების შედგეად დადგინდა, რომ სხვენის ფართი, რომლიც არ აისახა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, შედგენს 985.14 კვ.მ–ს, რაც შესაბამისად ცვლის საპროექტო შენობის საერთო ფართობს. საპროექტო შენობის საერთო ფართობი სხვენის ფართისა და მასში შემავალი სხვა ფართების დაჯამებით შედგენს 62681,65 კვ.მ–ს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში წარმოდგენილია საპროექტო შენობის გეგმები სხვენის ფართის მითითებით, რომელიც გამორჩენილია ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და რამაც შესაბამისად გამოწვია საერთო ფართის ცვლილება, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილობით დაადასტუროს, რომ შესაძლებელია ობიექტის ვარგისად აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში საერთო ფართად მიეთითოს 62681,65 და მასში შემავალ ფართებს შორის დაფიქსირდეს სხვენის ფართი – 985.14